




## მიტროპოლიტი ილარიონი: ხალხს აუკრძალო მუსიკის მოსმენა – იგივეა, რომ აუკრძალო წყლის დაღევა



რიგმა მედიასაშუალებებმა გამოაქვეყნეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ავღანეთში ხელისუფლებაში მოსული „თალიბანის“ მოძრაობის წარმომადგენლებმა (აკრძალულია რუსეთის ფედერაციაში) ქვეყნის მოსახლეობას მუსიკის მოსმენა აუკრძალეს, – განაცხადეს, რომ ის ისლამს ეწინააღმდეგება.

უპასუხა რა ტელეგადაცემა „ეკლესია და მსოფლიოს“ წამყვანის ე. გრაჩევას კითხვებს, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა, კომენტარი გააკეთა ავღანეთის ახალი ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მუსულმან თეოლოგებს შეეძლოთ, კომპეტენტურად აეხსნათ მაცურებელისათვის ისლამში მუსიკისადმი დამოკიდებულების შესახებ. „რამდენადაც მე ვიცი, რუსეთის ისლამში ის არასოდეს იკრძალებოდა,“ – თქვა მან.

ნამოჭრილ თემაზე, მწყემსმთავარმა მუსიკოსისა და კომპოზიტორის პოზიციიდან გამომდინარე, ასევე გაუზიარა საკუთარი მოსაზრებები და ხალხისთვის მუსიკის მოსმენის აკრძალვა, წყლის დაღვების აკრძალვას შეადარა, რომელიც ადამიანისთვის ყველაზე ბუნებრივი სასმელია, თუმცა დაღვების სურვილისას, შეიძლება მას აიძულო კიდევაც დალიოს სხვა რამე ორგანიზმის სასიცოცხლო ძალების განსამკიცებლად. „ეს ადამიანური არსებობის იმდენად ბუნებრივი და იმდენად განუყოფელი ნაწილია, რომ ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეუძლია ადამიანს საერთოდ მუსიკის გარეშე ცხოვრება“, – აღიარა მიტროპოლიტმა ილარიონმა.

„რა თქმა უნდა, ადამიანებს აქვთ ძალიან განსხვავებული მუსიკალური გემოვნება: ზოგი უსმენს კლასიკურ მუსიკას, სხვები – ესტრადას, მესამენი უსმენენ რეპს, მაგრამ, ასეა თუ ისე, ხალხს უჭირს მუსიკის გარეშე ყოფნა, ეს ადამიანის ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია“, – თქვა იერარქმა. მან აღნიშნა, რომ რელიგიის ამოცანა არ მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის ცხოვრება გაალარიბოს, არამედ, პირიქით, გაამდიდროს.

„მე არ ვიღებ ვალდებულებას ვისაუბრო ისლამის შესახებ – დაე, ჩვენმა მუსლიმმა ძმებმა ისაუბრონ ამის თაობაზე, მაგრამ თუ ვისაუბრებთ ქრისტიანობაზე, მაშინ ჩვენ ვნახავთ, თუ რა კოლოსალური გავლენა იქონია ქრისტიანობამ არა მხოლოდ ადამიანური ზნეობრიობის, სულიერების განვითარებაზე, არამედ კულტურის განვითარებაზეც. ეს კონცეფცია მოიცავს ფერწერასაც, არქიტექტურასაც, პოეზიასაც, ლიტერატურასაც და მუსიკასაც, – კონსტანტირება მოახდინა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა. – ქრისტიანობამ უზარმაზარი ბიძგი მისცა ადამიანის კულტურის განვითარებას, და ჩვენ დღემდე ვსარგებლობთ იმ ნაყოფით, რაც შეიქმნა ქრისტიანული კულტურის საფუძველზე“.

სსკგ-ს თავმჯდომარემ ასევე მიუთითა, რომ მუსიკის აკრძალვა არ წარმოადგენს ერთადერთ პრობლემას, რომელსაც შეეჯახნენ ავღანელები დღევანდელ ვითარებაში. „რა თქმა უნდა, ძალიან მეტრადებიან ის ადამიანები, რომლებიც, ცხოვრობენ რა ავღანეთში, მოკლებული იქნებიან მუსიკის მოსმენის შესაძლებლობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ არის ყველაზე უარესი, რისიც შეიძლება გვემინოდეს თალიბანის ხელისუფლებაში მოსვლით“, – რეზიუმირება მოახდინა სსკგ-ს თავმჯდომარემ.

*სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური*